საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
„კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის"

საინფორმაციო ბიულეტენი #3

საია ყოფილი მმართველობისთვის, 2018

#საია

#კარგიმმართველობა

ძვირფასო მკითხველო, საიას რიგით მესამე საინფორმაციო ბიულეტენში, ვეცადეთ თქვენი ყურადღება საიას გუნდის მიერ კარგი მმართველობის კუთხით განხორციელებულ აქტივობებსა და ამ მიმართულებით მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე შეგვეჩერებინა.

კარგი მმართველობის ხელშესაწყობად, საიას გუნდი როგორც ინსტიტუციურ, აგრეთვე, საჯარო პოლიტიკის ფორმირების დონეზე ოპერირებს. აღნიშნული კი, შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ინსტიტუციების მონიტორინგისა და ინდივიდუალური საქმეების შესწავლის გზით, პრაქტიკაში გამოკვეთილი გამოწვევების გაანალიზების საფუძველზე, შევიმუშავოთ რეკომენდაციები, რომლებიც საჯარო დაწესებულებების დამოუკიდებლობის, ასევე, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის გარანტორი იქნება.

ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, საჯარო სამსახურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და დამოუკიდებლობა, საარჩევნო/პოლიტიკური პროცესების გაჯანსაღება - ეს ის საკითხებია, რომლებიც თავისი არსიდან გამომდინარე, მნიშვნელობას, დღესაც, არ კარგავს.

სწორედ ზემოაღნიშნულის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საიას გუნდი აქტიურად ჩავერთეთ საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესში, დავაკვირდით შუალედურ არჩევნებსა და საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, შევიმუშავეთ სხვადასხვა სახის რეკომენდაციები.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად კი, ვმუშაობთ:

- ადგილობრივ დონეზე - ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური გაძლიერებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოსახლეობის საჭიროებებზე დაფუძნებული სტრატეგიული მართვის ხელშეწყობისათვის;
- ცენტრალურ დონეზე - პეტიციების სამთავრობო ელექტრონული პორტალის Ichange.gov.ge-ის პოპულარიზაციისა და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისათვის.

საიას აღმასრულებელი დირექტორი

საია საჯარო სამსახურის რეფორმის პროცესში

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი სრულად ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან შევიდა. საია აქტიურად იყო ჩართული როგორც რეფორმის კონცეფციის მომზადების, ასევე, საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის განხილვისა და შემდგომში მისი იმპლიმენტაციის პროცესში.

საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის სხვადასხვა ეტაპზე, საიას ჩართულობისა და მისი აქტიური ადვოკატირების შედეგად:

- საჯარო მოხელეს მოეხსნა შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის შეზღუდვა;
- შემცირდა საჯარო სამსახურში გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა;
- საჯარო მოსამსახურეს შეუნარჩუნდა 1 თვიანი კომპენსაციის მიღების უფლება რეორგანიზაციის საფუძველზე შტატების შემცირებისას.

გაგრძელება იხ. შემდეგ გვ.-ზე.

სარჩევი

1.	*საია საჯარო სამსახურის რეფორმის პროცესში*	1
2.	*საიას თანამშრომლობა თვითმმართველობებთან*	1
3.	*„რა ღირს საზოგადოებრივი მაუწყებელი?"*	1
4.	*2017 წლის საარჩევნო დავები*	2
5.	*საქართველოს ახალი საარჩევნო კოდექსი?*	2
6.	*რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად*	3
7.	*#IChange - ცვლილებები ელექტრონულად*	4
8.	*თბილისი „OGP"-ის სამიტს მასპინძლობს*	4

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ შეაფასა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირებაც. საიას დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ **ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ვალდებულება 2017 წელს სრულყოფილად არ სრულდებოდა.** კერძოდ, საჯარო სამსახურის ბიუროში არ შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული დამოუკიდებელი კომისია, რომელსაც უნდა შეერჩია შესამოწმებელი დეკლარაციების ნახევარი. აღნიშნული კომისიის შექმნა შეუძლებელი გახდა საქართველოს მთავრობის მიერ „თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ინსტრუქციის“ დაგვიანებით დამტკიცების გამო. სწორედ აღნიშნული ინსტრუქცია განსაზღვრავდა დამოუკიდებელი კომისიის შექმნის ვადებს.

საია აქტიურად აგრძელებს საჯარო სამსახურის რეფორმის იმპლიმენტაციის პროცესის მონიტორინგს.

საიას თანამშრომლობა თვითმმართველობებთან

22 მაისს, საიას წარმომადგენლებმა, თვითმმართველობების ბიუჯეტირების საკითხზე, შეხვედრა გამართეს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯომარესთან, ზაზა გაბუნიასთან.

შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს ორგანიზაციის ახალი პროექტის *„ყველაზე მოწყვლადი პირებისა და თემების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საქართველოში“* შესახებ. პროექტი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებში სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესების ხელშეწყობას და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით. პროექტის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები, ეკომიგრანტები, ქალები, სოციალურად დაუცველი მოქალაქეები და თვითმმართველობა.

შეხვედრის დასასრულს, მხარეები შეთანხმდენენ, რომ აღნიშნული მიმართულებით აუცილებლად გააგრძელებენ აქტიურ თანამშრომლობას.

პროექტი „ყველაზე მოწყვლადი პირებისა და თემების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საქართველოში“ მხარდაჭერილია ფონდ BFDW-ის მიერ.

Brot für die Welt

„რა ღირს საზოგადოებრივი მაუწყებელი?“

ა. წ. 2 მაისს, საიამ გამართა კვლევის „რა ღირს საზოგადოებრივი მაუწყებელი?” პრეზენტაცია.

საიას კვლევის შედეგად, გამოიკვეთა, რომ:

- სამეურვეო საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს იღებს და მასში ცვლილებებს ახორციელებს საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორისგან დეტალური ბიუჯეტისა და დასაბუთების მიღების გარეშე;
- საზ. მაუწყებლის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი შრომით ანაზღაურებაზე იხარჯება;
- საზ. მაუწყებელს არ აქვს დამტკიცებული საშტატო განრიგი და შრომის ანაზღაურების განმსაზღვრელი წესი;
- საზოგადოებრივი მაუწყებელი, შემოსავლების (სახელმწიფოს დაფინანსების ხარჯზე) მხრივ, 1-ელ ადგილზეა, მაშინ, როდესაც წლიური (2017) საშუალო რეიტინგით მხოლოდ მე-4 ადგილს იკავებს;
- საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, ხშირ შემთხვევაში, სხვა დაწესებულებებისთვის გამოყოფილ თანხებზე გაცილებით დიდია, თუმცა, არ ხდება მაუწყებლის საქმიანობის ეფექტურობისა და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების გაზომვა.

კვლევის სრული ვერსია

2017 წლის საარჩევნო დავები

მიმდინარე წლის 12 მაისს, საიამ გამართა საჯარო დისკუსია თემაზე „2017 წლის საარჩევნო დავები - მიგნებები და გამოწვევები“.

ორგანიზაცია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ფართომასტაბიანი მისიით - 500-ზე მეტი დამკვირვებლით აკვირდებოდა საქართველოს მასშტაბით. სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, საარჩევნო დავების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი:

<u>წინასაარჩევნო პერიოდში:</u>

- საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევისა და საარჩევნო კომისიის მუშაობაში ხელის შეშლის გამიჯვნის პრობლემა;
- უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობა აგიტაციაში;
- უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარი;
- პოლიტიკური რეკლამის განთავსება არასაარჩევნო პერიოდში.

<u>არჩევნების კენჭისყრის დღესა და მომდევნო პერიოდში:</u>

- ამომრჩევლის ნების კონტროლი და პერსონალური მონაცემების დაუცველობა;
- კომისიის წევრის ახსნა-განმარტება, როგორც ხარვეზის აღმოფხვრის „უნივერსალური საშუალება“;
- კომისიის წევრის მხრიდან ჩადენილი გადაცდომისას, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმა უხეში დარღვევის არარსებობის მოტივით;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას საოლქო საარჩევნო კომისიის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების ფარგლები;
- შესწორების ოქმის შედგენა ახსნა-განმარტებისა და ზეპირი მეხსიერების საფუძველზე.

2017 წლის არჩევნების დავების ანალიზი სრულად

საქართველოს ახალი საარჩევნო კოდექსი?

პარლამენტში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილია პროექტი „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონსა“ და “ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. საიამ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან“ ერთად, აღნიშნულ ცვლილებათა პროექტთან დაკავშირებით, შეიმუშავა ერთობლივი მოსაზრებები.

აღნიშნული მოსაზრებების თანახმად, პარლამენტში ცესკოს მიერ წარდგენილი ცვლილებათა პროექტი, გარკვეულწილად, გააუმჯობესებს საარჩევნო ნორმებს. მაგალითად, არჩევნებში მონაწილეთა ხმების ცნების დაკონკრეტება, საარჩევნო პროცედურების საწყისი ვადის განსაზღვრა, არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება და ა.შ

თუმცა, ამავდროულად, პროექტით გათვალსიწინებული რიგი ცვლილებები, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს საარჩევნო გარემოზე. მაგალითად, ცვლილებები, რომლის თანახმად, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა წინასაარჩევნო აგიტაციად აღარ მიიჩნევა; ასევე, ცვლილებები, რომლის მიღების შემთხვევაში იზრდება კანონდამრღვევ კომისიის წევრთა საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემაში დასაქმების პერსპექტივა და ა.შ.

მოსაზრებები „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შესატან ცვლილებებზე სრულად

რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად

ა.წ. 12 ივნისს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (GYLA) სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასა (ISFED) და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან (TI-Georgia) ერთად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის საკანონმდებლო რეკომენდაციები წარადგინა.

რეკომენდაციები მოიცავს საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს. აღნიშნული მიზნად ისახავს ორგანიზაციების მიერ საარჩევნო პროცესზე დაკვირვების შედეგად და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას.

ზემოაღნიშნული სამი ორგანიზაციის მიერ ერთობლივად შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად:

- პარტიების დაფინანსების კუთხით, უნდა გაუქმდეს, ფრაქციის შექმნის გამო, დამატებით 300 000 ლარის მიღების შესაძლებლობა, რამაც ბოლო პერიოდში სახელმწიფო დაფინანსებით მანიპულირების საშუალება არაერთხელ შექმნა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მხრივ, უნდა შეიცვალოს საარჩევნო ადმინისტრაციაში პარტიების მიერ წევრის დანიშვნის წესი და ამ უფლებით ისარგებლოს ბოლო საერთო პროპორციულ არჩევნებზე საუკეთესო შედეგის მქონე ექვსმა საარჩევნო სუბიექტმა, რომელთაგან თითოეული კომისიაში თითო წევრს დანიშნავს;
- ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების რისკების მინიმიზების მიზნით, კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს პარტიულ საქმიანობასა და საჯარო სამსახურს შორის უფრო მკაფიო ზღვრის გავლება;
- უმნიშვნელოვანესია, საარჩევნო კოდექსით დაკონკრეტდეს აგიტაციის ცნება, რომელმაც უნდა მოიცვას სოციალური ქსელის პირადი გვერდის საშუალებით პოლიტიკური მოწოდებების გავრცელება;
- ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოში საარჩევნო დავებისათვის შემუშავდეს სარჩელის უფრო მარტივი ფორმა ასეთი დავებისთვის განკუთვნილი შემჭიდროვებული ვადების გამო.

📘 საიას, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს ერთობლივი რეკომენდაციები ვრცლად

#IChange - ცვლილებები ელექტრონულად

2017 წლის დეკემბრიდან საქართველოში მოქმედებს პეტიციების სამთავრობო ელექტრონული პორტალი Ichange.gov.ge. პლატფორმა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში შეიქმნა, რომლის შესახებ ვალდებულება საქართველომ 2012წ. აიღო. USAID-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, საია აქტიურად ეწევა აღნიშნული პორტალის შესახებ ცნობირების ამაღლებისა და განათლების კამპანიას.

ichange.gov.ge
პეტიციების პორტალი

პლატფორმის მოხმარების შესახებ, საიამ გასცა 100-ზე მეტი კონსულტაცია და ქვეყნის მასშტაბით გამართა 30-მდე საჯარო სახის გასვლითი შეხვედრა თუ პრეზენტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს 1 500-ზე მეტმა მოქალაქემ. ფოკუს-ჯგუფები განხორციელდა სტუდენტებთან, პედაგოგებთან, შშმ და იძულებით გადაადგილებულ პირებთან, ეთნიკური უმცირესობებისა თუ სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. ასევე, პორტალის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ პარტნიორ დაწესებულებებთან ერთად, მოამზადა ბეჭდური და ვიდეო სახელმძღვანელო. გარდა ამისა, ელექტრონული პეტიციების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საია აქტიურად ეწევა სოციალურ და მედია კამპანიებს. სოციალური მედიის საშუალებით, ელექტრონული პეტიციების შესახებ, ინფორმირებული იქნა 200 000-ზე მეტი ინტერნეტმომხმარებელი.

#IChange

#შეცვალე! #ცვლილებებიიწყებაშენით!

⬇

https://ichange.gov.ge/

„OGP”-ის სამიტი თბილისში

ა.წ. 17, 18 და 19 ივლისს, საქართველო, როგორც „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) თავმჯდომარე ქვეყანა, აღნიშნული გლობალური ქსელის ყოველწლიურ სამიტს უმასპინძლებს. საია აქტიურად არის ჩართული სამიტის ორგანიზების პროცესში.

Open Government Partnership

ორგანიზაციის წარმომადგენლები, როგორც სამიტის სპეციალურად მიწვეული მომხსენებლები, იმსჯელებენ *„სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების ურთიერთდამოკიდებულების“* საკითხზე. ასევე, საია მოდერაციას გაუწევს დისკუსიას თემაზე *„სახელმწიფო საწარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება“.*

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ იუსტიციის სამინისტროს, როგორც „ღია მმართველობის პარტნიორობის“ სამდივნოს საქართველოში, უკვე წარუდგინა საკუთარი ხედვები ახალი 2018-2019 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის.

#OGP

#ღიამმართველობა

⬇

https://www.opengovpartnership.org/

საიას შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - საია დაარსდა 1994 წელს და მას ჰყავს 800-ზე მეტი წევრი, 120 თანამშრომელი, ათეულობით საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი და პარტნიორი ორგანიზაცია. საიას აქვს ოფისები საქართველოს მასშტაბით: ბათუმში, გორში, დუშეთში, ზუგდიდში, თბილისში, თელავში, ოზურგეთში, რუსთავსა და ქუთაისში.

დაარსებიდან (1994 წ.) დღემდე, საიამ დაიცვა 1 მილიონზე მეტი ადამიანის უფლება!

დღეს, საია აქტიურად მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვის, სტრატეგიული სამართალწარმოების, კარგი მმართველობისა და იურიდიული განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებებით.

2017 წელს საიამ უფასო სამართლებრივი დახმარება გაუწია 35 334 პირს, *საქართველოს მასშტაბით გამართა 3 659 გასვლითი სახის კონსულტაცია, ხოლო სამართალწარმოების შედეგად კი,* ***წარმატებით დასრულა 121 საქმე, მათგან ექვსი საკონსტიტუციო სასამართლოში და ოთხი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.***

ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის თანახმად, საქართველოში ***უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად, მოქალაქეთა მიამრთვიანობისა და ცნობადობის თვალსაზრისით, საია ლიდერია.*** *გამოკითხულთა 66%-ს სმენია საიას უფასო იურიდიული დახმარების ცენტრის შესახებ, ხოლო 62% დახმარებისთვის სწორედ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიმართავს.*

GYLA_CSO GYLA.ge www.gyla.ge

დონორები

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

Kingdom of the Netherlands

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EHRAC European Human Rights Advocacy Centre

EQUAL RIGHTS TRUST

SIGRID RAUSING TRUST

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

SWEDEN

British Embassy Tbilisi

Norwegian Embassy

NED National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world

PORADNA
PRO OBČANSTVÍ, OBČANSKÁ A LIDSKÁ PRÁVA

Brot für die Welt

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

საიას საინფორმაციო ბიულეტენი გამოდის სამ თვეში ერთხელ,
ასევე, დამატებით, მოიცავს სპეციალურ თემატურ გამოშვებებს.